წიგნების ჩანთა

საბავშვო მოთხრობები ჩანთა-3

# ჩვენები ბიბლიოთეკაში



inkılâb çocuk

muslim georgia

# ჩვენები ბიბლიოთეკაში

ქერიმი ნახევარი საათის განმავლობაში მეორეჯერ მივიდა მამასთან.

- მამა, ვერ მორჩი საქმეს?

მამამ ქერიმის ხვეწნა-მუდარას ვეღარ გაუძლო, იფიქრა დარჩენილ საქმეს საღამოსთვის გადავდებო და ადგა.

- კარგი შვილო, თუ მზად ხარ წავედით.

- ვაშაა! დაიძახა ქერიმმა და გახარებულმა კარისკენ გაიქცა. მამამისის კართან მისვლამდე ქერიმს ფეხსაცმელები უკვე ჩაცმული ჰქონდა.

დედამ ორივენი კარებამდე მიაცილა. თან ქერიმს აფრთხილებდა, ნელა იარეო. ქერიმი ჭიშკრიდან გავარდა, მეზობელ ჰალილთან მიირბინა და კარზე ზარი დარეკა.



ჰალილი ბალკონზე გამოვიდა და ვინ არისო, იკითხა.

- წავედით, წავედით, მზად ხარ?! მოუთმენლად დაუძახა ქერიმმა.

ჰალილიც ქერიმის მსგავსად ჩქარა დაემშვიდობა დედას და გარეთ გამოვარდა.

ქერიმის მამას ჰუსეინს ბიჭები დღეს ბიბლიოთეკაში უნდა წაეყვანა.

გზაში ბიჭები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ. ქერიმის მამამ ბიჭები გააფრთხილა გვერდიდან არ მოშორებოდნენ მას.

უსკუდარის საზღვაო სადგურთან მიაღწიეს. ქერიმმა ფუნთუშების გამყიდველი დაინახა.

- მამა, ვიყიდოთ ფუნთუშა რა, სთხოვა მამას.
- მე ვისაუზმე, აღარ მინდა. თქვა ჰალილმა.

ქერიმმა მეგობარს უჩქმიტა

- ფუნთუშა ჩვენთვის კი არ მინდა.
- აბა ვისთვის?
- გემზე რომ დავჯდებით, ნახავ.






მოსაცდელთან გაჩერდნენ და ემინონუსკენ მიმავალ გემს დაელოდნენ. გემი მალე მოადგა ბაქანს.

ქერიმსა და ჰალილს გემის ზედა სართულზე უნდოდათ ასვლა. ამიტომ ხალხმრავლობაში გზა გაიკვლიეს და კიბეებით ზევით ავიდნენ. გემმა ზღვა თეთრად ააქაფა და ნაპირს მოშორდა. გემი თანდათან უფრო სწრაფად მიიწევდა მარმარილოს ზღვის გრილ ტალღებში. მალე ის "ქალიშვილის კოშკს" მიუახლოვდა.

- შეხედე ქერიმ, ქალიშვილის კოშკი, უთხრა ჰალილმა.

კოშკი ზღვის შუაგულში იდგა.

- მამა, ეს კოშკი ზღვაში როგორ დგას? ჰკითხა მამას ქერიმმა.

- კოშკის ქვეშ პატარა კუნძულია ქერიმ. კოშკიც ამ პატარა კუნძულზე დგას.

ორი მეგობარი მოაჯირთან იდგა და ზღვას ჩაჰყურებდა. გემს თოლიები აედევნენ. ბავშვებმა მათ დანახვაზე აღტაცებისგან შეჰკივლეს.

- აი. ფუნთუშები ამათთვის მინდოდა, უთხრა ჰალილს.

ქერიმმა ერთი ფუნთუშა ჰალილს მიაწოდა. ბიჭებმა ფუნთუშა დააქუცმაცეს და თოლიებს ესროდნენ. თუმცა შიგადაშიგ თვითონაც აგემოვნებდნენ.

თოლიები ბიჭების ნასროლი ნამცეცების დაჭერას დიდი ოსტატობის ხარჯზე ახერხებდნენ. ხან ზევით აფრინდებოდნენ, ხან კიდევ სწრაფად ეშვებოდნენ დაბლა. გემზე ყველა, ამ მოფარფატე ფრინველებს აღტაცებული უყურებდა. თოლიები ზოგჯერ ისე მოახლოვდებოდნენ, რომ ბავშვებს ეშინოდათ კიდეც.



გემით მგზავრობა, ასე, თოლიების ყურებაში დასრულდა. მალე გემიდან ნაპირზე გადავიდნენ და ემინონუს ხალხმრავლობაში შეერივნენ. სანაპირო მეთევზეებით და გარე მოვაჭრეებით იყო სავსე. ამ ხმაურსა და ხალხმრავლობაში მიწისზედა გადასასვლელით მეორე მხარეს გავიდნენ. იქ კი ტრამვაის მოსაცდელთან გაჩერდნენ. მოსაცდელთან იმდენი ხალხი იყო, რომ მეორე ტრამვაიში ძლივს შეძლეს ასვლა. გულჰანე, სულთანაჰმეთი და ჩემბერლითაში სწრაფად გაიარეს. ბეიაზითში ჩამოვიდნენ. ბეიაზითის სახალხო ბიბლიოთეკა მათ პირდაპირ იყო. შესასვლელში პირადობის მოწმობები წარადგინეს და რეგისტრაციაში გატარდნენ. ბიბლიოთეკის უზარმაზარ კართან მივიდნენ. კარებთან ბიძია სელიმი შემოეგებათ. ბიძია სელიმი ქერიმის მაის მეგობარი იყო. ის წლების განმავლობაში ამ ბიბლიოთეკაში მუშაობდა. კარებში რომ შევიდნენ, უკვე ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ, თორემ ბიბლიოთეკაში მყოფ ადამიანებს, რომლებიც წიგნების კითხვით იყვნენ გართულები, შეაწუხებდნენ. ქერიმი და ჰალილი ფეხის წვერებზე დადიოდნენ.



- ნეტა აქ რამდენი წიგნია? იკითხა ქერიმმა.

- არ ვიცი. ასობით, ან ათასობით, უპასუხა ჰალილმა. ის გაოცებას ვერ მალავდა და ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა წიგნებს.

ქერიმის მამა კუთხეში იჯდა და სელიმს ხმადაბლა ესაუბრებოდა. ბიბლიოთეკაში მაგიდების უმრავლესობა დაკავებული იყო. ძირითადად მოხუცებულები, კოსტუმიანი კაცები, მოზარდები და ბავშვები იყვნენ. ზოგი მათგანი წიგნებიდან თავიანთ ფურცლებში რაღაცაებს იწერდა.

ქერიმი და ჰალილი წიგნებით სავსე თაროებს შორის დადიოდნენ. წიგნები სხვადასხვა სფეროს მიხედვით იყო დახარისხებული. რომანები, ისტორიული ნარკვევები, უზარმაზარი ენციკლოპედიები და სხვა. ბავშვები დაბნეული იყვნენ. არ იცოდნენ რომელი წიგნი აეღოთ.

- შენ როგორი წიგნის აღება გინდა? ჰკითხა ჰალილმა ქერიმს.





- არ ვიცი. ვერ ვიღებ გადაწყვეტილებას. უპასუხა ქერიმმა და თან თვალს წიგნებს ვერ აშორებდა.

ჯერ ერთ-ერთი ენციკლოპედია დაათვალიერეს, რომელიც მწერებს აღწერდა. შემდეგ სხვა ენციკლოპედია აიღეს, რომელიც ცხენების შესახებ იყო. შემდეგ კი სხვადასხვა ენციკლოპედიები ნახეს; ქალაქებზე, ქვეყნებზე და ა.შ. უფრო მეტად ფერად და სურათებიან წიგნებს ეტანებოდნენ. წიგნებს უცნაური სუნი ასდიოდა. ბავშვები ისევ განაგრძობდნენ წიგნებით სავსე თაროებს შორის ხეტიალს.

- მოდი, განსაკუთრებული წიგნი ვნახოთ. თქვა ჰალილმა.

- განსაკუთრებული? როგორ განსაკუთრებული?

ფანჯრებიდან მკრთალი შუქი იფრქვეოდა.

- შენი აზრით, ყველაზე განსაკუთრებული წიგნი რომელია? იკითხა ქერიმმა.

ქერიმი დაფიქრდა.

- დედამიწაზე ყველაზე განსაკუთრებული წიგნი ყურანია. ყურანი ჩვენი სარწმუნოების წმ. წიგნია.

- მართალს ამბობ მეგობარო, დაეთანხმა ჰალილი. ყველაზე განსაკუთრებული წიგნი ყურანი უნდა იყოს. ყურანი წმ. შუამავალისთვის მოვლენილი უკანასკნელი წმ. წიგნია. წმ. წიგნები შუამავლამდეც მოსდიოდათ სხვა შუამავლებს. ჩვენთვის ისინიც წმ. წიგნებია. ჩვენ, როგორც მუსლიმები ამ წიგნების გვჯერა.

- ხო, ვიცი. წმ. წიგნების რწმენა რწმენის პირობებიდან ერთ-ერთია.

ბავშვები ფაჯრის კუთხეში ჩამოსხდნენ.



- ქერიმ, შენ ის თუ იცი, რომელი წიგნი რომელ შუამავალს მოევლინა?

- დიახ, ვიცი. ახალი აღთქმა წმ. იესოს მოევლინა. ძველი აღთქმა წმ. მოსეს. ფსალმუნი კი წმ. დავითს. ყურანი, რომელიც ბოლო წმ. წიგნია ჩვენს შუამავალს მუჰამმედს მოევლინა.

- გარდა წიგნებისა ღმერთი ადამიანებს წმ. წერილებლაც უგზავნიდა.

ამ დროს სელიმ ბიძია ღიმილით მივიდა მათთან.

- ეს ჩემი სტუმრები, მეგონა პატარები იყვნენ. თურმე რა დიდები ყოფილხართ.



- ე.ი. წმინდა წიგნების შესახებ საუბრობთ. ბავშვებო, ეს წიგნები ადამიანებისთვის სწორი ცხოვრების გზამკვლევია. წამოდით ჩემს მაგიდასთან და იქ გავაგრძელოთ საუბარი.

ყველანი ერთად სელიმ ბიძიას მაგიდასთან დასხდნენ და ისეთი საუბარი გამართეს, რომელიც ამ ისტორიულ ბიბლიოთეკას შეეფერებოდა.



- სელიმ ბიძია, ღმერთი წმ. წიგნების საშუალებით ადამიანებს ბრძანებებსა და აკრძალულებს აცნობს, ხომ ასეა?

- მართალი ხარ ჰალილ. აღნიშნული წიგნები შუამავლების საშუალებით იქნა მოვლენილი. შუამავლები ღმერთსა და ადამიანებს შორის ელჩის მოვალეობას ასრულებენ. სწორედ ისინი იღებენ ღმერთის მიერ ზეგარდმოვლენილ ინფორმაციას და ადამიანებს აცნობენ. ეს ინფორმაცია ღმერთის სიტყვებია. ხოლო წიგნს, რომელშიც ეს სიტყვებია თავმოყრილი წმ. წიგნი ეწოდება.



წმ. წიგნები ღმერთის მიერ ადამიანებისთვის გამოგზავნილ მესიჯებს შეიცავს. ღმერთი ატყობინებს ადამიანებს თუ რა არის გასაკეთებელი და რა-აკრძალული. სწორედ ამ წიგნების დახმარებით ვხვდებით თუ რა არის სიკეთე და ბოროტება. წმ. წიგნები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ხალხებს გაეგზავნათ. თუმცა, საბოლოო ჯამში ყველა ერთად ერთიან ეპოქას ქმნიან. ეს არის ღმერთისადმი რწმენა და მისი ბრძანებების შესრულება.

- ბავშვებო, წმ. შუამავალ მუჰამმედამდე გამოგზავნილი წმ. წიგნების ორიგინალური ვარიანტი შემონახული არ არის. ყურანში კი ერთი ასობგერაც არ შეცვლილა. ის, სამყაროს დასასრულამდე არც შეიცვლება.



- ყურანის მოვლინებიდან საუკუნეებია გასული. თუმცა ის ადამიანებისთვის ისევ და ისევ სრულიად ახალია. ყურანში მოცემულ ინფორმაცია ისეთია, რომ ნებისმიერ ეპოქაში ადამიანების მოთხოვნილებებს პასუხობს.

- ბავშვებო, ყურანის სტრუქტურა და მხატვრული მხარეც დიდი სასწაულია. როდესაც ყურანი დედამიწას მოევლინა, არაბები ლიტერატურას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ. სიტყვის ეფექტურად თქმა, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

- ყურანის ენა ძალიან ეფექტური და ლამაზია.

- როდესაც შუამავალი ყურანის აიათებს კითხულობდა მაშინდელი პოეტების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ისინი მართლა აღაფრთოვანა ყურანის ენის სილამაზემ.



ბავშვები ძალიან დიდი ყურადღებით უსმენდნენ.

- წმ. წიგნი ყურანი ადამიანებისთვის გადარჩენის გზაა. ის ადამიანებს სწორ გზას უჩვენებს. ის, ამასთანავე ვედრების წიგნიც არის. ყველაზე ლამაზ ლოცვებს სწორედ მისგან ვისწავლით. სწორედ მასშია ნამდვილი შვება. სულიერ მოთხოვნილებებს მისგან დავიკმაყოფილებთ. ვინც ყურანს წაიკითხავს და მისი შინაარსის გაგებას შეეცდება, ღმერთის ბრძანებებს შეასრულებს და ღმერთზე მინდობილი სიმშვიდეში იცხოვრებს.

ბიბლიოთეკაში უამრავი ადამიანი შემოდიოდა. ზოგი მიდიოდნენ და მათ ადგილს სხვები იკავებდნენ.

ქერიმისა და ჰალილისთვის ეს გასეირნება განსაკუთრებული იყო. ისინი თან გაერთნენ და თანაც ბევრი სასარგებლო რამ გაიგეს. სელიმ ბიძიასგან ბევრი რამ გაიგეს წმ. წიგნებზე. ქერიმის მამას რამოდენიმე წიგნი აელო და მათთან მივიდა.

- რა ქენით ბავშვებო, რომელი წიგნები შეარჩიეთ?



- მამა, ჩვენს ძალიან განსაკუთრებული წიგნი გვინდა რომ ავიღოთ, ყურანის განმარტება.

ეს პასუხი მამას ძალიან მოეწონა.

- ყოჩაღ ბავშვებო.

- ადამიანი უნდა კითხულობდეს ყურანს და მის მნიშვნელობას უნდა ეცნობოდეს. ამრიგად ის ღმერთის სიყვარულს დაიმსახურებს. ღმერთის სიყვარულის დამსახურება უდიდესი წყალობაა.

სახლში წასვლის დროც მოვიდა.

დაბრუნებისას ისევ გემით იმგზავრეს. გემზე ძალიან სასიამოვნო გრილი ნიავი ქროდა. ბავშვებს წიგნები გულში ჰქონდათ ჩაკრული, რადგან ეს წიგნები დიდი განძი იყო.

ქერიმის მამამ გვერდით მჯდომ ჰალილს ჰკითხა:

- დღევანდელი მოგზაურობა მოგეწონა, ჰალილ?



- დიახ, ჰუსეინ ბიძია. ძალიან კარგი ექსკურსია იყო. დიდი მადლობა რომ წამოგვიყვანე.

- კიდე წამოვალთ? ქერიმი ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა.

- რა თქმა უნდა შვილო. ამ წიგნებს დავასრულებთ თუ არა ისევ წავიდეთ ბიბლიოთეკაში.

- თუ ასეა მომავალ კვირას ისევ წამოვალთ. მე ჩემს წიგნს მალე დავამთავრებ.

ჰალილმა თავისი წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. თვალები სიხარულით უბრწყინავდა.

- აბა ვნახოთ ვინ მალე მორჩება, უთხრა ქერიმს.

თოლიებს კი ამჯერად სხვა მგზავრები უყრიდნენ ნამცეცებს.

